



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 207

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

ქალაქ ქუთაისში, თბილისის ქუჩის №76-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ფასადზე, ცნობილი ქართველი მოქანდაკის, გიორგი ნიკოლაძის მემორიალური დაფის, ბარელიეფით, განთავსების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივების დროებითი საქალაქო კომისიის 2015 წლის 29 სექტემბრის სხდომის № 56 ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. განთავსდეს ქალაქ ქუთაისში, თბილისის ქუჩის №76-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ფასადზე, ცნობილი ქართველი მოქანდაკის, გიორგი ნიკოლაძის მემორიალური დაფა, ბარელიეფით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხარჯებით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია